

„დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები“

1. პროექტის განხორციელების ადგილი: კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ალაიანის მიმდებარე ტერიტორია;(რჩევა იგივე);. (დანართი N7)
2. ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები- შ.პ.ს. „კომპანია ბლექ სი გრუპ“-ის კუთვნილი ასფალტის და ინერტული მასალების მწარმოებელი საწარმოს ალაიანის ბაზა მდებარეობს კასპის რ-ნი, სოფ. ალაიანის მიმდებარე ტერიტორიაზე, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს, მდ. ქსნის მარჯვენა სანაპიროზე. საქმიანობისათვის გამოყოფილი მიწის ფართობი შეადგენს 90000მ<sup>2</sup>. საწარმო განთავსებულია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაშია(საკადასტრო კოდი #67.07.31.161-უფლების რეგისტრაცია 23.07.2015(53061მ2). საწარმო ფუნქციონირებს 2005 წლიდან. 2005 წლის 17 ნოემბრის საქართველოს მთავრობის განკარგულება #506, შპს „კომპანია ბლექ სი გრუპ“ -ის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წარმოდგენისაგან გათავისუფლების შესახებ საფუძველზე, საწარმომ გაიარა გამარტივებული პროცედურა. მის საპროექტო დოკუმენტაციას გავლილი აქვს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა და 2005წლის 8დეკემბერს საწარმოზე გაცემული იქნა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა #175.
3. ასფალტის დანადგარის მონაცემები: საწარმოში იგეგმება გერმანული კომპანია „BENINGHOVEN“-ის წარმოების „MBA 1250“ მარკის მობილური ასფალტის დანადგარის შეტანა, რომლის წარმადობაა საათში 120 ტ ასფალტი.(წლიურად 240000 ტ) . (საწარმოში 2013 წლიდან ფუნქციონირებდა 250 ტ/სთ-ში მაქსიმალური საპროექტო წარმადობის,(წლიური წარმადობა 288000 ტ/წელიწადში) მწარმოებლის მიერ სერტიფიცირებული იტალიური წარმოების „TOP TOWER 3000/MARINI“(კოდი UM130021, 16.07.2013) -ის ტიპის ასფალტის დანადგარი. 2016 წელს მიერ მოხდა ასფალტის დანადგარის დემონტაჟი მისი საწარმოს სხვა ობიექტზე გადატანის გამო. ამ ეტაპზე იგეგმება, იმავე ადგილას სხვა დანადგარის შეტანა. საწარმოში არსებული სხვა ინფრასტრუქტურა, მათ შორის ინერტული მასალების სამსხვრევი დანადგარები, ბეტონის ქ-ნა, ავტოგასამართი სადგური, ბიტუმის რეზერვუარები და სხვა რჩება უცვლელი.
4. ტექნოლოგიური სქემა: ასფალტის წარმოები ტექნოლოგიური სქემა არ იცვლება.

კერძოდ ისევე როგორც არსებული დანადგარი წარმოადგენს სხვადასხვა აგრეგატების ერთობლიობას(ემულსიების ქ-ნა, მექანიკური ქ-ნა, ანაფრეზის მოსამზადებელი დანადგარი, ბიტუმის მოდიფიცირების დანადგარი და ა.შ.) რომელთა ტექნოლოგიური ურთიერთდამოკიდებულება და მუშაობა ავტომატიზირებულია, ამასთანავე, მუშა პროცესი ითვალისწინებს აგრეგატების ტექნოლოგიურ დაკავშირებას ბიტუმის, მინერალური ფხვნილის, ქვიშის და ღორღის საწყობებთან. მისი საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა ასფალტნარევის დამზადება.

სამსხვრევ დანადგარებზე მიღებული ფრაქციებად დაყოფილი ინერტული მასალები ლენტური ტრანსპორტიორებით გადაიტანება ქვიშისა და ღორღის საწყობებში, საიდანაც ავტოთვითმცლელებით მიეწოდება ასფალტის დანადგარის მიმღებ ბუნკერს და შემდგომ ჩაიტვირთება ინერტული მასალების საშრობ დოლში. საშრობ დოლში ქვიშა და ღორღი გაშრობისთანავე განიცდის მუშა ტემპერატურამდე გახურებას. მასალათა გახურება ხორციელდება საშრობი აგრეგატის საცეცხლურში ბუნ. აირის დაწვის შედეგად მიღებული ცხელი ნამწვი აირების საშუალებით, რომლებიც საშრობი დოლის გავლის შემდგომ მტვერთან ერთად მიემართება მტვერდამჭერ სისტემაში, სადაც მტვერი ილექება და ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში. დანადგარი აღჭურვილია მტვრის გამწმენდი სახელოიანი ფილტრით, რომლის ეფექტურობაა 99,99%.

გაცხელებული და გამომშრალი მასალა გადაიტანება ცხავეზზე, სადაც ხდება მათი ფრაქციებად დაყოფა. შემდგომ, სპეციალურ სასწორებზე წარმოებს მასალის დოზირება წინასწარ მოცემული რეცეპტის მიხედვით და აწონილი მასალა ჩაიყრება შემრევ ბუნკერში, სადაც მიეწოდება დანადგარის ბიტუმსახარშ რეზერვუარში წინასწარ გაუწყლოებული და მუშა ტემპერატურამდე გაცხელებული ბიტუმი, აგრეთვე მინერალური ფხვნილი. არევის პროცესის დასრულების შემდეგ პროდუქცია გადაიტვირთება ჩასატვირთ-განსატვირთ თერმოს ბუნკერში, საიდანაც მზა პროდუქცია ავტოტრანსპორტით მიეწოდება მომხმარებელს.

5. გამოყენებული საწვავი: ბუნებრივი აირი 1099 000 მ<sup>3</sup>/წელიწადში; (ეკოლოგიური აუდიტში განხილული დანადგარის შემთხვევაში გამოიყენებოდა ბუნებრივი აირი 3266400მ<sup>3</sup>/წელ)
6. ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მანე ნივთიერებები, გაფრქვევის წყაროები; ზემოთ

აღნიშნული დანადგარის შეტანით არ შეიცვლება ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი

მავნე ნივთიერებათა სახეობები და წყაროები, შეიცვლება მხოლოდ გაფრქვევების პარამეტრები(შემცირდება).

ზემოთ აღნიშნული დანადგარის ფუნქციონირებისას ადგილი ექნება საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და გაფრქვევას ატმოსფეროში.(დანართი N7) გაფრქვევის წყაროებს წარმოადგენენ:

- საშრობი დოლი, გ-1;
- ბიტუმსახარში დანადგარი, გ-2;
- ბიტუმსაცავები, გ-3;
- ავტოცისტერნებიდან ბიტუმის ბიტუმსაცავში ჩასხმის ადგილი, გ-4;
- ბიტუმის მოდიფიცირების ავზები, გ-5;
- ინერტული მასალის საშრობი დოლის ბუნკერებში ჩაყრის ადგილები, გ-6;
- ინერტული მასალის სამსხვრევ-გადამამუშავებელი დანადგარების ბუნკერებში ჩაყრის ადგილები, გ-7;
- სამსხვრევ-გადამამუშავებელი დანადგარები, გ-8;
- ლენტურ ტრანსპორტიორებზე ინერტული მასალის დაყრის ადგილი, გ-9;
- ლენტური ტრანსპორტიორები, გ-10;
- ნედლეულის საწყობში ჩამოცლის ადგილები, გ-11;
- ნედლეულის საწყობი, გ-12;
- ინერტული მასალების საწყობი, გ-13;
- ინერტული მასალების საწყობში ჩამოცლის ადგილები, გ-14;
- მინერალური ფხვნილის სილოსი, გ-15;
- ავტოგასამართი სადგური, გ-16; გ

გაფრქვევის წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებთა როდენობების ანგარიში განხილული იქნება ზღვრულად გაფრქვევის ნორმების პროექტში ან შესაბამის გარემოსდაცვით რეგლამენტში.

7. ფაუნა და ფლორა- საწარმოს უშუალო გავლენის ზონაში არ აღინიშნება მრავალწლიანი მცენარეული საფარის ზონა და არ ხასიათდება ბუნებრივ პირობებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა სახეობებით. ამას გარდა, საწარმო შემოღობილია და საწარმოს ტერიტორიაზე ცხოველების შემთხვევით გადაადგილება გამორიცხულია. გამომდინარე აქედან, საწარმოს ფუნქციონირებისას ადგილობრივ

8. ფაუნასა და ფლორაზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას რაიმე უარყოფით ანთროპოგენულ ზეგავლენას ადგილი არ ექნება.

9. არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება: არსებული მდგომარეობა (გზშ და ეკოლოგიურ აუდიტში განხილული მდგომარეობა და პირობები არ შეიცვლება; კერძოდ, პოტენციურად კუმულაციური ზემოქმედებები პროექტის რეალიზაციის თანმხლები ისეთი სახის ზემოქმედებებია, რომლებიც წარმოიშობა გასული, ახლანდელი ან დასაბუთებულად მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული მუდმივად მზარდი ცვლილებების შედეგად. პოტენციურად კუმულაციური ზემოქმედებების შეფასებისას ასევე მხედველობაში მიიღება სხვა პროექტების ზემოქმედება, რომლებმაც მოცემულ პროექტთან ერთობლიობაში შეიძლება გამოიწვიოს უფრო მასშტაბური და მნიშვნელოვანი ზემოქმედება.

საწარმოს ექსპლუატაციისას წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი საწარმოს სიმძლავრის ან ტექნოლოგიის შეცვლა ნავარაუდები არ არის, ხოლო გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებების დაცვის პირობებში საწარმოს მიერ გარემოში განხორციელებული ემისიების წილი სხვა მოქმედ საწარმოებთან ერთობლიობაში მინიმალური იქნება, გამომდინარე აქედან, მისი განთავსების ტერიტორიის მომიჯნავე ადგილებში საწარმოს ექსპლუატაციით გამოწვეული მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

10. ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება: არსებული მდგომარეობა (გზშ-ში და ეკოლოგიურ აუდიტში განხილული მდგომარეობა და პირობები) არ შეიცვლება. კერძოდ წყლის გამოყენება - შენარჩუნდება არსებული მდგომარეობა, კერძოდ, წყლის გამოყენება საწარმოში ხდება სასმელ-სამეურნეო და სამრეწველო მიზნებისათვის. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყალმომარაგება ხდება ტერიტორიაზე მოწყობილი ჭაბურღილიდან, რომლის კოორდინატებია X 462674, Y 4641977, სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყლის) მოპოვების ლიცენზიით #1002660 დადგენილი პირობების გათვალისწინებით, რომლის შესაბამისად დამტკიცებული სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყლის) ათვისების გეგმით წლიური მოპოვება შეადგენს 34000მ<sup>3</sup>, ხოლო სამრეწველო მიზნით წყლის მოპოვება განხორციელდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილი საგუბარიდან (მდ. ქსნის ფილტრატი), მოცულობით დაახლოებით 200მ<sup>3</sup>.

წყალარინება- საწარმოს ტერიტორიაზე წარმოიქმნება:

- სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები საოფისე შენობიდან,

სანიტარიული კვანძებიდან

- საწარმოო წყლები, რომლებიც წარმოიქმნება ტექნოლოგიურ ციკლში;

სამეურნეო -საყოფაცხოვრებო ჩამდინარე - წყლის ხარჯი სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის იქნება 1080მ<sup>3</sup>/წელ., ჩამდინარე წყლების ხარჯი შეადგენს:

წლიური ხარჯი -  $1080 \times 0,9 = 972\text{მ}^3/\text{წელ.}$ , საათური  $0,45 \times 0,9 = 0,405\text{მ}^3/\text{სთ}$ ;

სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნახმარი წყლები გროვდება საკანალიზაციო სისტემით საწარმოს ტერიტორიაზე, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში არსებულ ბეტონის მიწისქვეშა ავზებში, რომლის პერიოდული დაცლა ხორციელდება საწარმოს კუთვნილი საასენიზაციო ავტომანქანით ხაშურის რაიონის სოფელ გომში არსებულ საწარმოს კუთვნილ გამწმენდ ნაგებობაში. (გორში)

**საწარმოო ჩამდინარე წყლები**- ინერტული მასალის რეცხვისას და სამსხვრევ-დამხარისხებელ დანადგარში სველი წესით მსხვრევისას საჭიროა 126000მ<sup>3</sup>/წელ, საიდანაც 75% ჩამდინარე წყალია. რაც წლიურად შეადგენს  $126000 \times 0,75 = 94500\text{მ}^3$ -ს. საათური ხარჯი ტოლი იქნება  $52,5 \times 0,75 = 39,375\text{მ}^3/\text{სთ}$ ;

საწარმოო ნახმარი წყლების შეგროვება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ საგუბარში, საიდანაც ხელახლა ხდება მისი გამოყენება საწარმოო მიზნებისათვის.

**სანიაღვრე ჩამდინარე წყლები**- საწარმოში სანიაღვრე ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება. ნიადაგის დაბინძურება- საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის სრული დაცვის პირობებში მისი ექსპლუატაციის რეალიზაცია არ წარმოქმნის ნიადაგის დაბინძურების შესაძლებლობას და შესაბამისად არ არსებობს წინაპირობა ნიადაგური ზედაპირის დაბინძურების წარმოქმნის მიმართულებით. წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების ემისიების გავლენას საწარმოს განლაგების ზონის ნიადაგურ საფარზე პრაქტიკულად ადგილი არ აქვს.

11. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები: შენარჩუნდება არსებული მდგომარეობა (გზმ -ში და ეკოლოგიურ აუდიტში განხილული მდგომარეობა და პირობები); ნარჩენების მართვა განხორციელდება სამინისტროსთან (დანართი N8- წერილი N 10638/01; 06112/2018) შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;

12. გარემოს დაბინძურება და ხმაური: - ხმაურის გავრცელებით და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ზემოქმედების ცვლილება იქნება მნიშვნელოვანი

(შემცირდება). მოხდება არსებული დანადგარის, როგორც გარემოსდაცვითი ასევე

ტექნოლოგიური თვალსაზრისით მსგავსი პარამეტრების მქონე და შედარებით მცირე წარმადობის მქონე დანადგარით ჩანაცვლება, რომელიც აღჭურვილია როგორც ხმის დამხშობი ასევე 99,99% ეფექტურობის მქონე მტვერდამჭერი სისტემებით.

უახლოესი დასახლებული პუნქტი საწარმოდან დაშორებულია 880მ-ით. წარმოდგენილი გათვლების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ წარმოების პროცესში ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია საწარმოდან 500მეტრში არ გადააჭარბებს მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას.

**13. საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი-**

არსებული მდგომარეობა (გზშ-ში და ეკოლოგიურ აუდიტში განხილული მდგომარეობა და პირობები) არ შეიცვლება; ავარიული სიტუაციების მართვა განხორციელდება კომპანიის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული ავარიული სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამისად.

**14. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა -**

გზშ-ში და ეკოლოგიურ აუდიტში განხილული მდგომარეობა და პირობები არ შეიცვლება;

**15. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე-**

მოსალოდნელი არ არის (გზშ განხილული მდგომარეობა და პირობები) არ შეიცვლება; კერძოდ, საწარმოს ზემოქმედების ზონაში დაცული ტერიტორია არ მდებარეობს.

**16. ნარჩენი ზემოქმედება-** ნარჩენი ზემოქმედება წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებათა გატარების შემდგომ დარჩენილ ზემოქმედებას. ნარჩენი ზემოქმედების ღონის შეფასების რაოდენობრივი მახასიათებლები საერთაშორისო მეთოდოლოგიის მიხედვით იყოფა დაბალი, საშუალო და მაღალი ღონის ზემოქმედებად.

კომპანიის მიერ შემუშავებული გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებების დაცვის პირობებში საწარმოს ექსპლოატაციით გამოწვეული გარემოზე მაღალი ან საშუალო ღონის ნარჩენი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.